სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 დეკემბერი, 2024 წ.

ბრძანება N 01-02/205

ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის
,, ჰუმანიტარული ძიებანი'' დაფუძნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N40 დადგენილების (ცვლილება - 2022 წლის 03 ივნისის N06-01/38 დადგენილებით), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №06-01/20 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2025-2031 წწ)", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №06-01/21 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის (2025-2027 წწ)", ,,ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო დებულების დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს 2023 წლის 22 აგვისტოს №06-01/94 დადგენილების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 29 ნოემბრის №1538086 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **დაფუძნდეს** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი** სახელწოდებით **,, ჰუმანიტარული ძიებანი''** (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი).**
2. დამტკიცდეს ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის ,, ჰუმანიტარული ძიებანი" <u>**სარედაქციო საბჭოს**</u> შემადგენლობა, მათ შორის ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ტექნიკური რედაქტორი, ასევე ჟურნალის **რედაქციის შემადგენლობა"** (წინამდებარე ბრძანების **N2 დანართი).**
3. ბრძანების ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, ბსუ-ს გამომცემლობას, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სხვა სტრუქტურულ ერთეულებს და სარედაქციო საბჭოს წევრებს, ჟურნალის რედაქციის წევრებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №32).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის

,, ჰუმანიტარული ძიებანი'' დაფუძნების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 06 დეკემბერი N 01-02/205 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

,,ჰუმანიტარული ძიებანი"

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი") საერთა-შორისო სამეცნიერო ჟურნალი ,, **ჰუმანიტარული ძიებანი**'' (შემდგომში - ჟურნალი) **დაფუძნებულია** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (2024 წლის დეკემბერი), ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს 2023 წლის 22 აგვისტოს №06-01/94 დადგენილებით დამტკიცებული ,,,ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო დებულების" მოთხოვნათა დაცვით.
2. ჟურნალი დაფუძნებულია ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიცირებით და შეესაბამება ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების 2018-2024 წლების გეგმით გათვალისწინებულ მიზანს და **და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების 2025-2031 წლების გეგმის მიზანს** (,,მიზანი 3. უნივერსიტეტი უნდა იყოს ძლიერი საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ახორციელებს ღირებულ, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას").
3. **ჟურნალის სახელწოდება:** ქართულ ენაზე - **,,ჰუმანიტარული ძიებანი",** ინგლისურ ენაზე - **„ Studies in Humanities".**
4. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,, ჰუმანიტარული ძიებანი" წარმოადგენს საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად პერიოდულ გამოცემას. ჟურნალს აქვს საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი პერიოდული გამოცემებისთვის.
5. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში არანაკლებ ერთი, ქართულ და ინგლისურ ენაზე.
6. ჟურნალის ოფიციალური ვებგვერდია - www.Ojs.bsu.edu.ge;
7. ჟურნალის ელექტრონული ფოსტა studiesinhumanities@bsu.edu.ge .
8. ჟურნალის სარედაქციო საქმიანობა წარიმართება ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამუშაო ადგილზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32).
9. **ჟურნალის მისიაა** ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების, სამეცნიერო ღიაობისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
10. **ჟურნალის მიზნებია:**

ა) ჰუმანიტარული მიმართულებით თანამედროვე კვლევების გაზიარება და საერთაშორისო ინტეგრაცია;

ბ) მეცნიერებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს შორის ინტერდისციპლინური დიალოგისა და აზრების გაცვლა;

გ) ბსუ-ს კვლევების ინტერნაციონალიზაციასა და პოზიციონირება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

11. **ჟურნალის** განვითარებისთვის მთავარი **ამოცანებია:**

ა) აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის **და** მკვლევარებისათვის სამეცნიერო-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ჟურნალის პოპულარიზაცია, ქართველი და უცხოელი ავტორების მოზიდვა **და** საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემათა შორის ადგილის დამკვიდრება.

12. ჟურნალი წარმოადგენს პლატფორმას მკვლევრებისთვის, რომლებიც მუშაობენ საქართველოში წარმოებული სამეცნიერო კვლევის შედეგებზე, ჰუმანიტარული მიმართულებით და სხვა.

13. ჟურნალი წარმოადგენს ღიად ხელმისაწვდომ გამოცემას, რაც გულისხმობს მისი შინაარსის სრულად ხელმისაწვდომობას მომხმარებლებისათვის, ყოველგვარი დამატებითი გადასახადის ან რეგისტრაციის გარეშე.

14. ჟურნალი აღიარებს და ითვალისწინებს საერთაშორისო საგამომცემლო პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას.

,,ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის

,, ჰუმანიტარული ძიებანი'' დაფუძნების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 06 დეკემბრის N 01-02/206 ბრძანების

დანართი 2

,,ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის

„ ჰუმანიტარული ძიებანი''

სარედაქციო საბჭო

1. მერაბ ხალვაში, **ჟურნალის მთავარი რედაქტორი** (ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
2. თამარ სირაძე (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
3. მამია ფაღავა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
4. რამაზ ხალვაში (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
5. ირინე გოშხეთელიანი, (პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
6. მარინე გიორგაძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
7. ემზარ მაკარაძე (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
8. ინგა შამილიშვილი (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
9. ნანა ხახუტაიშვილი (ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
10. ლალი ზაქარაძე, (ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
11. თეონა ბერიძე (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო);
12. ხათუნა ბერიძე- **ტექნიკური რედაქტორი**(ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო);
13. ჯოანა შერშუნოვიჩი - პროფესორი, ბიალისტოკის უნივერსიტეტი;

14. ფრედერიკოს ვალეტოპულოსი - პროფესორი, პუატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი;
15. რუი რამოსი - პროფესორი, მინიოს უნივერსიტეტი, ესპანეთი;
16. ჰაიკე შპისი - დოქტორი, გოეთეს საზოგადოება, გერმანია.

ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის
,, ჰუმანიტარული ძიებანი''

რედაქციის წევრები:

1. ჯემალ კარალიძე (ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
2. ემზარ კახიძე (ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
3. თამაზ ფუტკარაძე (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
4. მალხაზ ჩოხარაძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
5. მაია ბარამიძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
6. მარინა არუშიძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
7. მარინე სიორიძე (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველო);
8. ივდით დიასამიძე (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო);
9. თამილა დავითაძე (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო).